პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი

გადაწყვეტილება №გ-1/201/2016

ო.ვ.-ს განცხადებასთან დაკავშირებული განხილვის დასრულების შესახებ

ქ. თბილისი **13/07/2016**

განმცხადებელი: ო.ვ. (პ/ნ **********)

მოთხოვნა: სს „ა“-ს (ს/კ *********) და შპს „ბ“-ს (ს/კ **********) მიერ განმცხადებლის პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლა.

აღწერილობითი ნაწილი

2016 წლის 30 მაისს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს №01/474 განცხადებით მომართა ო.ვ.-მ. განმცხადებელი უთითებს, რომ ამა წლის 14 აპრილს ვინმე თ.ნ. დაუკავშირდა მის მეზობელ ბ.კ.-ს და აცნობა, რომ ო.ვ.-ს აქვს სს „ა“-ს (შემდგომში - „ბანკი“) მიმართ საკრედიტო დავალიანება, რომელსაც არ იხდის, ამასთან, იმალება და მას ეძებს პოლიცია. განმცხადებლის მითითებით, თ.ნ.-მ სთხოვა მის მეზობელს აღნიშნული საუბრის შინაარსი გადაეცა განმცხადებლის ოჯახის წევრებისთვისაც. განმცხადებელი განმარტავს, რომ იმავე დღეს, მისი მეუღლე შესაბამისი განმარტებების მიღების მიზნით დაუკავშირდა თ.ნ.-ს, რის შემდგომაც 2016 წლის 15 აპრილს მის მეუღლეს დაუკავშირდა ვინმე ზ.ა., გაეცნო როგორც სს „ა“-ს თანამშრომელი და სიტუაციის განეიტრალების მიზნით შესთავაზა დავალიანების გამო დარიცხული პროცენტებისგან გათავისუფლება. განმცხადებელი უთითებს, რომ ზემოაღნიშნულის გამო 2016 წლის 18 აპრილს საჩივრით მიმართა სს „ა“-ს და მოითხოვა შესაბამისი რეაგირება, რაზეც ბანკისგან მიიღო წერილობითი განმარტებები, რომ თ.ნ. და ზ.ა. არ არიან მისი თანამშრომლები, ისინი წარმოადგენენ სს „ა“-ს ერთ-ერთი კონტრაქტორი კომპანიის თანამშრომლებს, რომლებიც ბანკის მიერ კომპანიისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სარგებლობენ წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით. განცხადებას ერთვოდა ო.ვ.-ს 2016 წლის 18 აპრილის საჩივარი და სს „ა“-ს 2016 წლის 17 მაისის №1403/106-30 წერილი.

2016 წლის 01 ივნისს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის №გ-1/145/2016 გადაწყვეტილებით ო.ვ.-ს განცხადება მიღებულ იქნა განსახილველად და აპარატის 2016 წლის 03 ივნისის №43 წერილით სს „ა“-ს ეთხოვა ინფორმაციის წარმოდგენა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის წერილის პასუხად ბანკმა 2016 წლის 09 ივნისის №126 წერილით განმარტა, რომ სს „ა“-მ ო.ვ.-სგან მიიღო „*****“ განაცხადი, რომლის საფუძველზეც კლიენტმა ბანკს მიაწოდა პერსონალური ინფორმაცია და თანხმობა განაცხადა მიერთებოდა ბანკის გენერალურ ხელშეკრულებას „ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ“. ამ ხელშეკრულების საფუძველზე ბანკს უფლება აქვს დაამუშაოს კლიენტის პერსონალური მონაცემები. ამასთან, სს „ა“-სა და შპს „ბ“-ს (შემდგომში - „კომპანია“) შორის 2015 წლის 02 ივნისს გაფორმდა დავალების ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც კომპანიას გადაეცა ბანკის პრობლემური აქტივები სამართავად.

ბანკმა ზემოაღნიშნულ განმარტებებთან ერთად წარმოადგინა ო.ვ.-ს „******“ განაცხადი, შპს „ბ“-სთან გაფორმებული დავალების ხელშეკრულება და 2016 წლის 17 მაისის №1403/106-30 წერილი, სადაც ბანკი უთითებს, რომ თ.ნ. და ზ.ა. არიან მისი კონტრაქტორი კომპანიის თანამშრომლები. „******“ განაცხადის მიხედვით ო.ვ.-მ თანხმობა განაცხადა ბანკის მიერ მისი მონაცემების დამუშავებაზე. შპს „ბ“-სა და სს „ა“-ს შორის 2015 წლის 02 ივნისს გაფორმებული დავალების ხელშეკრულება კი არეგულირებს შემდეგ საკითხებს:

- შპს „ბ“ უფლებამოსილია, ბანკის ვადაგადაცილებული სესხის მქონე კლიენტები მოიძიოს, მათთან დაამყაროს სისტემატური კავშირი, დადოს საარბიტრაჟო შეთანხმება, გააფრთხილოს საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად დავალიანების გადაუხდელობის სამართლებრივი შედეგების შესახებ და მიიღოს სხვა კანონმდებლობით გათვალისწინებული აუცილებელი ზომები;
- ხელშეკრულების დანართი №1 განსაზღვრავს კლიენტებთან კომუნიკაციის სტანდარტს. დანართის 1.7. პუნქტის მიხედვით, მესამე პირებისთვის მსესხებლის სესხის შესახებ ინფორმაციის მიწოდება იკრძალება, გარდა თანამსესხებლის, თავდების, მეურვის, მზრუნველის, რწმუნებულის, ლიკვიდატორის, გაკოტრების მმართველისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა. ოჯახის წევრებთან, მეზობლებთან, თანამშრომლებთან და სხვა პირებთან კომუნიკაცია შეიძლება მხოლოდ მსესხებლის ადგილსამყოფლის ან სხვა საკონტაქტო ინფორმაციის მისაღებად;
- ზემოაღნიშნული ვალდებულების დარღვევა იწვევს პირგასამტეხლოს დაკისრებას 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით;
- ბანკის მიერ კლიენტებთან კომუნიკაციის სტანდარტით გათვალისწინებული წესების დარღვევის კონტროლი ხდება ორი მექანიზმით: მისტიური მყიდველის მეთოდი და კლიენტის მომართვა.

აპარატის 2016 წლის 14 ივნისის №174 წერილით შპს „ბ“-ს ეთხოვა საქმისთვის არსებითი ინფორმაციის წარმოდგენა, რის პასუხადაც კომპანიამ 2016 წლის 20 ივნისის №225 წერილით განმარტა შემდეგი:

- კომპანია 2015 წლის 02 ივნისის დავალების ხელშეკრულების საფუძველზე, ბანკის სასარგებლოდ არსებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, ახორციელებს სს „ა“-ს წარმომადგენლობას მის მოვალეებთან ურთიერთობაში;
- თ.ნ. არის კომპანიის თანამშრომელი, მან რამდენჯერმე სცადა დაკავშირებოდა ო.ვ.-სთან, თუმცა უშედეგოდ;
- თ.ნ.-მ ერთ-ერთი სატელეფონო საინფორმაციო სამსახურის - ***** მეშვეობით მოიპოვა ო.ვ.-ს მეზობლის ბ.კ.-ს ფიქსირებული ტელეფონის ნომერი და დაუკავშირდა მას. ბ.კ.-ს სატელეფონო საუბრისას კომპანიის თანამშრომელმა აუხსნა, რომ მუშაობდა აქტივების მართვის სამსახურში და თხოვა ო.ვ.-სთვის გადაეცა მისი საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;
- სასესხო ურთიერთობის, მისი ოდენობის, მოცულობის და სხვა პერსონალური ინფორმაციის გადაცემას, მით უფრო მოტყუებას, შეშინებას და მუქარას კომპანიის მხრიდან ადგილი არ ჰქონია;
- ბ.კ.-სთან საუბრის შემდგომ ო.ვ.-ს მეუღლე - დ.ვ. დაუკავშირდა კომპანიის თანამშრომელს და მიაყენა შეურაცხყოფა.

2016 წლის 24 ივნისს განმცხადებელმა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატს დამატებით წარმოუდგინა თავისი მამის - გ.ს.-ს, რძლის - მ.ვ.-ს და მეუღლის - დ.ვ.-ს წერილობითი ახსნა-განმარტებები, სადაც მითითებულია, რომ ო.ვ.-ს საკრედიტო დავალიანების შესახებ ინფორმაცია ბ.კ.-ს მეუღლემ გაუმჟღავნა განმცხადებლის მამას - გ.ს.-ს და მამამთილს - ზ.ვ.-ს, ასევე მიუთითა ინფორმაციის წყარო - თ.ნ..

2016 წლის 30 ივნისს ბ.კ.-მ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატს წერილობით დაუდასტურა, რომ 2016 წლის 14 აპრილს მას დაუკავშირდა თ.ნ. და აცნობა, რომ ო.ვ.-ს ჰქონდა სს „ა“-ს საკრედიტო დავალიანება, აგვიანებდა გადახდას და ვერ უკავშირდებოდა, ასევე სთხოვა აღნიშნული გადაეცა განმცხადებლის სხვა ოჯახის წევრებისთვისაც. ბ.კ.-მ თხოვნა შეასრულა და თავისი მეუღლის მეშვეობით აცნობა ყოველივე განმცხადებლის მამას.

სამოტივაციო ნაწილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა იმსჯელა უფლებამოსილი პირის შპს „ბ“-ს მიერ განმცხადებლის პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერებაზე.

განცხადების განხილვის ფარგლებში წარმოდგენილი ო.ვ.-ს 2015 წლის 10 ივლისის „******“ განაცხადის, სს „ა“-სა და შპს „ბ“-ს შორის 2015 წლის 02 ივნისს გაფორმებული დავალების

ხელშეკრულების, შპს „ბ“-ს 2016 წლის 20 ივნისის №225 წერილისა და სს „ა“-ს 2016 წლის 09 ივნისის №126 წერილის საფუძველზე დადგენილი გარემოებაა, რომ სს „ა“ განმცხადებლის პერსონალურ მონაცემებს ამუშავებდა უფლებამოსილი პირის - შპს „ბ“-ს მეშვეობით. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) მე-2 მუხლის „დ“, „ი“, „კ“ პუნქტებისა და მე-16 მუხლის საფუძველზე სახეზეა განმცხადებლის - ო.ვ.-ს პერსონალური მონაცემების დამუშავება მონაცემთა დამმუშავებლის - სს „ა“-ს მიერ უფლებამოსილი პირის - შპს „ბ“-ს მეშვეობით.

მონაცემთა დამუშავება დასაშვებია კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლ(ებ)ის არსებობისას და დადგენილი პრინციპების დაცვით. მოცემულ შემთხვევაში, შპს „ბ“ ადასტურებს განმცხადებლის მეზობელთან სატელეფონო ზარის განხორციელების ფაქტს და უარყოფს მისთვის განმცხადებლის საკრედიტო დავალიანების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, თუმცა 2016 წლის 24 ივნისის გ.ს.-ს, მ.ვ.-ს, დ.ვ.-ს, ასევე, 2016 წლის 30 ივნისის ბ.კ.-ს წერილობითი ახსნა-განმარტებებით დასტურდება, რომ აღნიშნული სატელეფონო საუბრებისას კომპანიამ ნამდვილად მიაწოდა განმცხადებლის მეზობელს - ბ.კ.-ს ინფორმაცია ო.ვ.-ს საკრედიტო დავალიანების არსებობის შესახებ.

კანონის მე-4 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტების თანახმად, მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით. მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევადაც მუშავდება ისინი. მონაცემთა დამმუშავებელი ორგანიზაციები, მით უფრო ფინანსურ სექტორში მომუშავე ორგანიზაციები, რომლებიც ფლობენ პირის ფინანსური დავალიანების შესახებ მონაცემებს, ვალდებულნი არიან დაიცვან სამართლიანი ბალანსი მონაცემთა დამმუშავებლის კანონიერ ინტერესებს, მონაცემთა სუბიექტის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებას შორის. მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემების მესამე პირებისთვის გამჟღავნება უნდა განახორციელონ მხოლოდ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, ამავე კანონით განსაზღვრული მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვით. პერსონალური მონაცემები მესამე პირისთვის გამჟღავნება კი პირდაპირ კავშირში უნდა იყოს მონაცემთა დამმუშავებლის ლეგიტიმური ინტერესის დაცვასთან და უნდა წარმოადგენდეს მიზნის მიღწევისთვის უკიდურეს ზომას. შპს „ბ“-ს მიერ საკრედიტო დავალიანების შესახებ ინფორმაციის მესამე პირებისათვის მიწოდება დამუშავების კანონიერი მიზნის (სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა) არაპროპორციულია, მონაცემების ამ მოცულობით მესამე პირებისათვის მიწოდება არ იყო აუცილებელი და საჭირო ხსენებული მიზნის მისაღწევად.

მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ კანონის მე-16 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, უფლებამოსილმა პირმა მონაცემები შეიძლება დაამუშაოს სამართლებრივი აქტის ან მონაცემთა დამმუშავებელთან დადებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ამ კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებს და უნდა ითვალისწინებდეს ამ კანონით დადგენილ წესებსა და აკრძალვებს. უფლებამოსილმა პირმა მონაცემები უნდა დაამუშაოს შესაბამისი სამართლებრივი აქტით ან ხელშეკრულებით დადგენილ ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, შპს „ბ“-სა და სს „ა“-ს შორის დადებულია 2015 წლის 02 ივნისის დავალების ხელშეკრულება, რომლის №1 დანართის 1.7. პუნქტის საფუძველზე, კომპანიას ეკრძალება მესამე პირებისთვის, მათ შორის მეზობლისა და ოჯახის წევრებისათვის მსესხებლის საკრედიტო დავალიანების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. სს „ა“-ს 2016 წლის 17 მაისის №1403/106-30 წერილის, შპს „ბ“-ს 2016 წლის 20 ივნისის №225 წერილის 2015 წლის 02 ივნისის დავალების ხელშეკრულების, ბ.კ.-ს 2016 წლის 30 ივნისის წერილობითი ახსნა-განმარტებისა და სს „ა“-ს 2016 წლის 09 ივნისის №126 წერილის საფუძველზე ცალსახად დგინდება შემდეგი:

- ბანკს არ მიუწოდებია შპს „ბ“-სთვის ო.ვ.-ს მეზობლის - ბ.კ.-ს სატელეფონო ნომერი;
- ბანკის მიერ შპს „ბ“-სთვის არც ხელშეკრულებით და არც ზეპირი ფორმით ნებადართული არ ყოფილა ო.ვ.-ს მეზობელთან დაკავშირება მისი საკრედიტო დავალიანების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით;
- შპს „ბ“-მ თავად მოიპოვა ო.ვ.-ს მეზობლის - ბ.კ.-ს სატელეფონო ნომერი;
- შპს „ბ“ 2016 წლის 14 აპრილს დაუკავშირდა განმცხადებლის მეზობელ ბ.კ.-ს და მიაწოდა ინფორმაცია ო.ვ.-ს საკრედიტო დავალიანების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ბ“-ს მიერ განმცხადებლის მეზობელთან დაკავშირება და საკრედიტო დავალიანების შესახებ ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენს სს „ა“ მიერ უფლებამოსილი პირისთვის 2015 წლის 02 ივნისის დავალების ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლების გადაცილებას, რაც არღვევს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტს და წარმოადგენს კანონის 52-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.

კანონის 55-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინსპექტორის მიერ უფლებამოსილი პირი საქმეს განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით კი, ადმინისტრაციული სახდელი პირს შეიძლება დაედოს არა უგვიანეს ორი თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო როცა სამართალდარღვევა დენადია – არა უგვიანეს ორი თვისა მისი გამოვლენის დღიდან.

განმცხადებლის მეზობლისთვის ო.ვ.-ს საკრედიტო დავალიანების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ადგილი ჰქონდა 2016 წლის 14 აპრილს. შესაბამისად, ინსპექტორი,

სამართალდარღვევის ჩადენის ხანდაზმულობიდან გამომდინარე, შპს „ბ“-ს ვერ დააკისრებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-4, მე-5, მე-16, 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 34-ე, 52-ე და 55-ე მუხლების და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის საფუძველზე,

ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. დასრულდეს მოქალაქე ო.ვ.-ს 2016 წლის 30 მაისის №01/474 განცხადებასთან დაკავშირებული საქმის განხილვა;
2. განმცხადებელს, შპს „ბ“-ს და სს „ა“-ს ეცნობოთ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;
3. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს მხარეთა მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

თამარ ქალდანი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი